21/12/2021

თბილისის საპატრიარქოს მგალობელთა გუნდი ნოვოსიბირსკში საშობაო ხელოვნების XIV საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში გამოვიდა

2021 წლის 17 დეკემბერს თბილისის საპატრიარქო მგალობელთა გუნდმა ნოვოსიბირსკის ფილარმონიაში საშობაო ხელოვნების XIV საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში მსოფლიო პრემიერა წარადგინა.

თბილისის საპატრიარქოს წმიდა სამების საკათედრო ტაძრის გუნდმა სამხატვრო ხელმძღვანელის, სვიმონ ჯანგულაშვილის ხელმძღვანელობით, ლეგენდარულმა კოლექტივმა, რომელიც იუნესკოს მიერ კაცობრიობის არამატერიალური მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი, საშობაო ხელოვნების ფესტივალში პირველად მიიღო მონაწილეობა.

კონცერტის პირველ ნაწილში კოლექტივმა ცნობილი თანამემამულეების – გია ყანჩელისა და იოსებ კეჭაყმაძის საგუნდო მუსიკა შეასრულა. მეორე ნაწილში გაჟღერდა ტრადიციული საეკლესიო საგალობლები, სადღესასწაულო საქორწილო და სამუშაო სიმღერები კახეთიდან, გურიიდან, სამეგრელოდან და საქართველოს სხვა

რეგიონებიდან.

საშობაო ფესტივალის ფარგლებში გამართულ კონცერტზე უძველეს მრავალხმიანთან ერთად, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თანამედროვე კომპოზიტორის, საპატრიარქო გუნდის სოლისტის ზვიად ბოლქვაძის საგუნდო მუსიკა გაისმა. ციმბირში მან თავისი საგუნდო ნაწარმოების „ჰოი, საკურა!“-ს მსოფლიო პრემიერა წარადგინა, რომელიც შუა საუკუნეების იაპონელი პოეტების ლექსებზეა დაწერილი.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვრის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ინიციატივით 1998 წელს შექმნილი მგალობელთა გუნდი საქართველოს თანამედროვე სულიერი კულტურის სიმბოლოდ იქცა. ის თბილისის წმინდა სამების საკათედრო ტაძარში ღვთისმსახურებებში მუდმივად მონაწილეობს. გუნდის რეპერტუარში შედის მრავალხმიანი ქართული საეკლესიო გალობები, რომლებიც ჟღერს ისე, როგორც მას მრავალი საუკუნის წინ ასრულებდნენ.

mospat.ru